საქართველოს კულტურის პალატის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი კონკურსის ,, უმღერე ყაზბეგს“

საკონკურსო დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

კონკურსის ,,სიმღერა ყაზბეგს“ (შემდგომში კონკურსი) მიზანია საუკეთესო სიმღერების შექმნა ყაზბეგზე, საქართველოს პოეტების და კომპოზიტორების შემოქმედების ხელშეწყობა და ყაზბეგის პოპულარიზაცია.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ ფიზიკურ პირს 18 წლის ასაკიდან და ნებისმიერ იურიდიულ პირს (შემდგომში - კონკურსანტი), მიუხედავად მათი მოღვაწეობის სფეროსი.
2. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო განაცხადი, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს:
   2.1. სიმღერის ტექსტს;
   2.2. სიმღერის მუსიკის სანოტო ჩანაწერს;
   2.3. სიმღერის შესრულების აუდიო ან ვიდეო ჩანაწერს (დასაშვებია მობილური ტელეფონით ჩაწერილი ან გადაღებული ჩანაწერი, მინიმუმ 1 (ერთი) მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით ან კომპოზიციის არანჟირებით).
3. ერთ კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ 1 (ერთი) განაცხადის წარმოდგენა;
4. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი ჟანრობრივად არ არის შეზღუდული;
5. კონკურსი ითვალისწინებს, რომ გამარჯვებული სიმღერები პირველად საჯაროდ შესრულდება 2024 წლის 31 ავისტოს სახალხო დღესასწაულის ,,ყაზბეგობა-2024“ ფარგლებში ინსტრუმენტული ბენდის თანხლებით (ფორტეპიანო, სინთეზატორი, დასარტყამი ინსტრუმენტი, გიტარა და ბას-გიტარა);
6. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსანტმა განაცხადი სრულყოფილი სახით უნდა წარმოადგინოს, მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: songs@kazbegi.gov.ge
7. კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს საკონკურსო განაცხადი ან დამატებით წარმოადგინოს ინფორმაცია ან დოკუმენტაცია საკონკურსო ვადის დასრულებამდე.
8. არასრულყოფილად წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.
9. კონკურსში წარმოსადგენი განაცხადების მიღება დაიწყება 2024 წლის 1 მაისიდან და დასრულდება 2024 წლის 30 ივნისს.

მუხლი 3. საკონკურსო განაცხადის წარმოდგენის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   1.1 განცხადება საკონკურსო ჟიურის სახელზე;
   1.2 საკონკურსო განაცხადი - სიმღერის ტექსტი, სიმღერის მუსიკა ნოტების სახით და სიმღერის აუდიო ჩანაწერი მინიმუმ 1 მუსიკალური ინტრუმენტის თანხლებით;
   1.3 სიმღერის ტექსტის ავტორის სახელი და გვარი, მისი პირადი ნომერი და პირადობის მოწმობის ასლი;
   1.4 სიმღერის მუსიკის ავტორის სახელი და გვარი, მისი პირადი ნომერი და პირადობის მოწმობის ასლი;
   1.5 სიმღერის მუსიკის და ტექსტის ავტორების განაცხადი საკონკურსო ჟიურის სახელზე იმის თაობაზე, რომ ეს სიმღერა შექმნილია კონკრეტულად ამ კონკურსისთვის და ეკუთვნის წარმოდგენილ ავტორებს; განაცხადი ავტორების ხელმოწერით დადასტურებული უნდა იყოს;

1.6 თუ კონკურსანტი იურიდიული პირია, განაცხადს თან უნდა ახლდეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

2. კონკურსში გამარჯვებული სიმღერის ავტორებთან დაიდება ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამარჯვებული სიმღერის საავტორო უფლებების გადაცემას ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე.

3. საკონკურსო ჟიური

1. კონკურსის ფარგლებში იმუშავებს საკონკურსო ჟიური, რომლის შემადგენლობა გამჟღავნდება მხოლოდ გამარჯვებული სიმღერების გამოვლენის შემდეგ;
2. კონკურსის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე ჟიურის შემადგენლობა და საკონკურსო ჟიურის გადაწყვეტილებები არ გასაჯაროვდება.

4. კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულთა პრემიები

1. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2024 წლის 1 აგვისტოსი;
2. საკონკურსო ჟიური გამოავლენს 3 საუკეთესო სიმღერას;
3. 3 (სამი) საუკეთესო სიმღერის ავტორები (მუსიკა და ტექსტი) მიიღებენ ფულად ანაზღაურებას თუ ჯილდოს შემდეგი განაწილებით:
   I ადგილი - 6600 (ექვსი ათას ექვსასი) ლარი გადასახადების ჩათვლით;
   II ადგილი - 5280 (ხუთი ათას ორასოთხმოცი) ლარი გადასახადების ჩათვლით;
   III ადგილი - 3960 (სამი ათას ცხრაასსამოცი) ლარი გადასახადების ჩათვლით.
4. ფულადი ანაზღაურება თუ ჯილდო თანაბრად განაწილდება სიმღერის მუსიკისა და ტექსტის ავტორებს შორის.

მუხლი 6. გამარჯვებული სიმღერების გაჟღერების წესი

1. გამარჯვებული სიმღერები პირველად გაჟღერდება 2024 წლის სახალხო დღესასწაულზე ,,ყაზბეგობა-2024“ 5 (ხუთი) მუსიკოსისგან შემდგარი ინსტრუმენტული ბენდისა და ინდივიდუალური შემსრულებლის მიერ.
2. გამარჯვებული სიმღერების ავტორების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საავტორო უფლებების ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე სრულად გადაცემის შემდგომ, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია გამარჯვებული სიმღერები მომავალში გააჟღეროს სხვადასხვა მუსიკალური არანჟირების სახით, ისე რომ არ დაირღვეს ავტორთა უფლებები.

კონკურსის ორგანიზატორები:

საქართველოს კულტურის პალატა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია

კონკურსის მხარდამჭერები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მცხეთა - მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია